

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
2017 წლის ბიუჯეტის შესრულების
ანგარიშის შესახებ

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის #24 დადგენილებით დამტკიცებული იქნა 2017 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 7983.40 ათ. ლარით, განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი გაიზარდა 5033.0 ათ. ლარით და დაზუსტდა 13016.40 ათ.ლარით.

ბიუჯეტი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რაც გულისხმობს ქალაქის პრიორიტეტების მიზნების, მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების/ღონისძიებების ერთობლიობას. შესაბამისად არის მომზადებული და წარმოდგენილი ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიც. ანგარიში მოიცავს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახულია როგორც გეგმიური, ისე ფაქტიური მაჩვენებლები, ასევე მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით), ნაშთის ცვლილების, განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულების შესახებ ინფორმაციას.

**ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები
ბიუჯეტის ბალანსი**

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის საკასო შესრულება	2017 წლის წლიური გეგმა	2017 წლის დაზუსტებული წლიური გეგმა	2017 წლის საკასო შესრულება
შემოსავლები	13458,5	7833.4	13016.4	12358,6
გადასახადები	2354,9	2530.0	2530.0	1654,9
გრანტები	10531,7	4456.4	9421.5	9221,0
სხვა შემოსავლები	571,9	847.0	1064.9	1482,7

დასახელება	2016 წლის საკასო შესრულება	2017 წლის წლიური გეგმა	2017 წლის დაზუსტებული წლიური გეგმა	2017 წლის საკასო შესრულება
ხარჯები	7766,4	6951.3	8704.2	8261.2
შრომის ანაზღაურება	1156,1	1118.1	1003.5	996.3
საქონელი და მომსახურება	565,0	555.6	678.7	658.6

სუბსიდიები	4259,0	3831.9	4249.0	4190.9
გრანტები	657,2	595.7	65.7	63.7
სოციალური უზრუნველყოფა	527,8	446.5	573.6	545.5
სხვა ხარჯები	601,3	403.7	2133.7	1806.1
საოპერაციო საღდო	5692,1	882.1	4312.2	4755.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4864,3	882.1	4805.3	4805.3
ზრდა	4972,2	1032.1	5255.3	5255.3
კლება	107,9	150.0	450.0	450.0
მთლიანი საღდო	827,8	0.0	-602,0	432,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	796,7	0.0	0,0	0,0
ზრდა	1189,9	0.0	421,0	421,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0.0	0,0	0,0
სესხები	0,0	0.0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0.0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0.0	0,0	0,0
კლება	393,2	0.0	1034,8	1034,8
ვალუტა და დეპოზიტები	393,2	0.0	0,0	0,0
სესხები	0,0	0.0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0.0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0.0	0,0	0,0

დასახელება	2015 wlis საკასო შესრულება	2017 wlis წლიური გეგმა	2017 წლის დაზუსტებული წლიური გეგმა	2017 წლის საკასო შესრულება (nazardi jamiT)
ვალდებულებების ცვლილება	-371,3	-31,0	-31,1	-31,1
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	371,3	31,0	31,1	31,1
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	371,3	31,0	0,0	0,0

ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0
---------	-----	-----	-----	-----

ბიუჯეტის შემოსავლები

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 13466.4 ათ. ლარი, ფაქტიურად 12914,5 ათ. ლარით შესრულდა, რაც გეგმის 95,9%.

I. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 1654.8ათ. ლარი, დაზუსტებული წლიური გეგმის 2530.0 ათ. ლარის 65.4 %.

საშემოსავლო გადასახადი - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 953.5 ათ. ლარი, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 950.0 ათ. ლარის 100.3%,

ქონების გადასახადი - საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 701.3 ათ. ლარის შემოსავალი, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 1580.0 ათ. ლარის 44.3 % , მათ შორის:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა 33.0 %-ით შესრულდა (დაზუსტებული წლიური გეგმა 1515.0ათ.ლარი, შესრულება 504.9 ათ.ლარი);
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულდა 262.0%-ით შესრულდა (დაზუსტებული წლიური გეგმა 5.0 ათ. ლარი, შესრულება 13.1 ათ. ლარი);
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის გეგმა შესრულდა 93%-ით (დაზუსტებული წლიური გეგმა 20,0 ათ.ლარი, შესრულება 18.7 ათ.ლარი);
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის გეგმა შესრულდა 411.7%-ით (დაზუსტებული წლიური გეგმა 40.0 ათ. ლარი, შესრულება 164.7 ათ.ლარი);

II. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 9221,0 ათ. ლარი, მათ შორის:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი - 4275,4 ათ. ლარი;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 81,7 ათ.ლარი;
- გ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 4847,8 ათ. ლარი;
- დ)საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები- 16,1 ათ. ლარი

III. სხვა შემოსავლები

2017 წლის დაზუსტებული წლიური გეგმით განსაზღვრული 1064,9 ათ.ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 1482,7 ათ. ლარი შეადგინა, რამაც გეგმის 139%-ია, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3,3 ათ.ლარი, რაც გეგმის 25,0 ათ.ლარის 13%-ია;

რენტის სახით ბიუჯეტში ფაქტიურად 97,7 ათ. ლარი შემოვიდა, რაც გეგმის 273,8 ათ.ლარის 36%-

ია.

ადმინისტრაციული მოსაკრებლიდან და გადასახადებიდან მიღებულია 1180,4 ათ. ლარი, რომელმაც გეგმის 451,1 ათ. ლარის 261,6% შეადგინა, აქედან:

– სანებართვო მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 11,8 ათ.ლარი, რაც გეგმის 5,4 ათ.ლარის 218%-ია;

– სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1055,5 ათ.ლარი, რაც გეგმის 327,9 ათ.ლარის 322%-ია;

– დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 113,1 ათ.ლარი, რაც გეგმის 116,8 ათ.ლარის 97%-ია;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 18,0 ათ ლარი.

შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა მთლიანობაში 151,3 ათ. ლარი შეადგინა რაც გეგმის -260,0 ათ. ლარი 58 % შეადგენს.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 32,0 ათ.ლარი, რაც გეგმის 55,0ათ. ლარის 58%-ია;

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ბიუჯეტში ჩარიცხულია 555,9 ათ. ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (450,0 ათ. ლარი) 123,5%-ია, მათ შორის: 213,0 ათ. ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან (შემოსულობა შენობებისა და ნაგებობების გაყიდვებიდან), ხოლო 342,9 ათ. ლარი არამწარმოებლური აქტივების გაყიდვებიდან (მიწის გაყიდვიდან).

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დაზუსტდა 15687,1 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 13528,2 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86%-ია.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა განისაზღვრა 8704,2 ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8261,2 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95%-ია.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 6971,1ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5255,3 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 75%-ია.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 11,8 ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11,7 ათ. ლარი.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

„შრომის ანაზღაურების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1003,5 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 996,3 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 678,7 ათ. ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 658,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 97%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4190,9 ათ. ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4249,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 98%-ს.

სუბსიდიების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება;
- კომუნალური მომსახურების ცენტრის დაფინანსება;
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- სპორტული ობიექტების დაფინანსება;
- კულტურის ობიექტების დაფინანსება;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;
- გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელსეწყობა;
- სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება;
- ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადების უზრუნველყოფის პროგრამა.

„გრანტების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 65,7 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 63,7 ათ. ლარის მოცულობით, რაც გეგმის 97%-ს.

გრანტების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სსიპ „ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი“;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

„სოციალური უზრუნველყოფის“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 573,6 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 545,5 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა;
- თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;
- „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა;
- ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა;
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა;

- იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ვეტერანთა დახმარების პროგრამა;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა;
- დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის „ახალშობილთა“ მატერიალური დახმარების პროგრამა;
- ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.
- კომუნალური სუბსიდირება
- უსახლკაროთ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა.
- ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება.

„სხვა ხარჯების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2133,7 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1806,1 ათ. ლარის მოცულობით, რაც გეგმის 84%-ს.


სხვა ხარჯების მუხლიდან ფინანსდება ისეთი სამუშაოები, რომელთა შედეგად შექნილი აქტივები არ აისახება მერიის ბალანსზე, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სახლების ფასადების შეკეთება, კანალიზაციის და წყალმომარაგების ქსელების შეკეთება.

სხვა ხარჯების მუხლიდან ასევე, დაფინანსებული იქნა:

- კომუნალური სუბსიდირება;
- უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება ბინის ქირის უზრუნველყოფა.

2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით

2017 წლის ბიუჯეტი ფუნქციონალურ ჭრილში პრიორიტეტების მიხედვით



- 01 00 - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (გეგმა - 1457,3 ათ. ლარი, შესრულება - 1306,1 ათ. ლარი, რაც გეგმის 88,0 %-ია);
- 02 00 - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (გეგმა - 61,8 ათ. ლარი, შესრულება - 50,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 83%-ია);
- 03 00 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (გეგმა - 10321,0 ათ. ლარი, შესრულება - 8390,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 81%-ია);
- 04 00 - განათლება (გეგმა - 1135,7 ათ. ლარი, შესრულება - 1135,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- 05 00 - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (გეგმა - 1964,8 ათ. ლარი, შესრულება - 1948,1 ათ. ლარი, რაც გეგმის 99%-ია);
- 06 00 - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (გეგმა - 728,5 ათ. ლარი, შესრულება - 697,4 ათ. ლარი, რაც გეგმის 96%-ია).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვრა, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,473.6	0.0	1,473.6	1,303.9	0.0	1,303.9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,463.5	0.0	1,463.5	1,294.3	0.0	1,294.3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,303.6	0.0	1,303.6	1,294.3	0.0	1,294.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	159.9	0.0	159.9	0.0	0.0	0.0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	10.1	0.0	10.1	9.6	0.0	9.6
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	61.8	0.0	61.8	50.5	0.0	50.5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	7,282.2	5,246.1	2,036.1	5,558.0	4,275.0	1,283.0
7045	ტრანსპორტი	2,498.0	1,614.5	883.5	2,124.0	1,399.8	724.2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,498.0	1,614.5	883.5	2,124.0	1,399.8	724.2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4,784.2	3,631.6	1,152.6	3,434.0	2,875.2	558.8
705	გარემოს დაცვა	719.5	0.0	719.5	719.5	0.0	719.5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	719.5	0.0	719.5	719.5	0.0	719.5
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,319.3	1,743.9	575.4	2,113.1	1,582.6	530.5
7061	ბინათმშენებლობა	1,863.3	1,743.9	119.4	1,698.2	1,582.6	115.6
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	456.0	0.0	456.0	414.9	0.0	414.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	24.2	0.0	24.2	22.2	0.0	22.2
70732	სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70733	სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	24.2	0.0	24.2	22.2	0.0	22.2
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,964.8	0.0	1,964.8	1,948.1	0.0	1,948.1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	775.5	0.0	775.5	770.0	0.0	770.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,185.8	0.0	1,185.8	1,174.7	0.0	1,174.7
7083	ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	3.5	0.0	3.5	3.5	0.0	3.5
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
709	განათლება	1,135.7	0.0	1,135.7	1,135.6	0.0	1,135.6
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,098.0	0.0	1,098.0	1,098.0	0.0	1,098.0
7092	ზოგადი განათლება	37.7	0.0	37.7	37.6	0.0	37.6
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70922	საბაზო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	37.7	0.0	37.7	37.6	0.0	37.6
7093	პროფესიული განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7094	უმადლესი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70941	უმადლესი პროფესიული განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70942	უმადლესი აკადემიური განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7095	უმადლესისშემდგომი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7096	განათლების სფეროს დამზარე მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7097	გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
710	სოციალური დაცვა	694.2	0.0	694.2	665.6	0.0	665.6
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1.0	0.0	1.0	0.2	0.0	0.2
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	16.9	0.0	16.9	16.9	0.0	16.9
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	372.0	0.0	372.0	356.3	0.0	356.3
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	302.3	0.0	302.3	290.2	0.0	290.2
	სულ	15,675.3	6,990.0	8,685.3	13,516.5	5,857.6	7,658.9

2017 წელს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტების მიხედვით
გაწეული ხარჯების ანალიზი, მიღებული შედეგები და შეფასების ინდიკატორები

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების

დაფინანსება

(ორგანიზაციული კოდი - 01 00)

01 01 - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის 2017 წელს ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 389,6 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 385,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 98%-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გეგმა შეადგენს 248,7 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 246,9 ათ. ლარს, რაც გეგმის 98%-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - საკასო ხარჯი 246,9 ათ. ლარი; პრემია - საკასო ხარჯი 10,1 ათ. ლარი;

საქონელი და მომსახურების~ ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 124,4 ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 121,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 99%, მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების~ დაზუსტებული გეგმა - 50,2 ათ. ლარი, რაც შესრულდა - 47,9 ათ. ლარის ოდენობით.

მივლინების~ ხარჯის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 0,7 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 0,7 ათ. ლარის ოდენობით.

ოფისის ხარჯის დაზუსტებული გეგმა - 15,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 15,3 ათ. ლარი.

სხვა ხარჯების - დაზუსტებული გეგმა - 18,7 ათ. ლარი, შესრულდა - 18,3 ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 0,98%-ია. დაფინანსებულია სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

01 02 - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 2017 წელს ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 924,2 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 919,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გეგმა შეადგენს 706,9 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 706,8 ათ. ლარს, რაც გეგმის 99%-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - საკასო ხარჯი 661,8 ათ. ლარი; პრემია - საკასო ხარჯი 39,1 ათ. ლარი; დანამატი -5,8ათ. ლარი.

საქონელი და მომსახურების~ ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 204,1ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 199,9 ათ. ლარი, რაც გეგმის 98%-ია, მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების~ დაზუსტებული გეგმა - 59,6 ათ. ლარი, რაც შესრულდა - 59,6 ათ. ლარის ოდენობით.

მივლინების~ ხარჯის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 3,4 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 3,4 ათ. ლარის ოდენობით.

ოფისის ხარჯის~ დაზუსტებული გეგმა - 36,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა -

36,1 ათ. ლარი. დაფინანსებულია: საკანცელარიო საქონლის შეძენის, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ოფისისათვის საჭირო მასალების შეძენის, სანიტარული საგნების შეძენის, კავშირგაბმულობის და კომუნალური ხარჯები, კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების~ დაზუსტებული გეგმა - 40,9 ათ. ლარი, შესრულდა - 40,9 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებულია: საწვავის-საპოხი მასალების შეძენის, ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების შეძენის, მიმდინარე რემონტის ხარჯები.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების~ ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 11,3 ათ. ლარის ოდენობით, რაც შესრულდა - 11,3 ათ. ლარის ოდენობით. დაფინანსებულია: კადრების მომზადება-გადამზადებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯი, რეკლამის, აუდიტორული მომსახურების, შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი.

„სოციალური უზრუნველყოფა“ დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 0,5 ათ. ლარის ოდენობით, რაც შესრულდა - 0,5 ათ. დაფინანსდა: დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება.

სხვა ხარჯების - სხვადასხვა ხარჯების გეგმა - დაზუსტდა 1,2 ათ. ლარი, შესრულდა - 0,9 ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 0,90%. დაფინანსებულია: სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებო და სხვადასხვა მიმდინარე ხარჯი.

არაფინანსური აქტივების ზრდა~ დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 1,2 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 1,2 ათ. ოდენობით, რაც გეგმის 100%-ია. განხორციელდა შენობის რემონტი, შეძენილია მუსიკალური ინსტრუმენტი, გაზქურა და სხვა საოფისე ინვენტარი.

სარეზერვო ფონდი

2017 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 158,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 141,0 ათ. ლარი, მათ შორის:

- ბინათმშენებლობა - 16,9 ათ. ლარი;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 19,6 ათ. ლარი;
- კულტურის ღონისძიებების დაფინანსება - 13,2 ათ. ლარი;
- მოქალაქეთა დახმარება - 91,3 ათ. ლარი;

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი

აღნიშნული მიმართულებით 2017 წელს გამოყოფილი იქნა 11,8 ათ. ლარი, ხოლო ხარჯებმა შეადგინა 11,7 ათ. ლარი.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (ორგანიზაციული კოდი - 02 00)

02 02 - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

2017 წლის გეგმა - 61,8 ლარი, საკასო ხარჯი - 50,5 ლარით, რაც გეგმის 81%-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით დაზუსტებული გეგმა შეადგენს 47,9 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 42,4 ათ. ლარს,

საქონელი და მომსახურების~ ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 12,8 ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 8,1 ათ. ლარი,

მიღწეული საბოლოო შედეგი: საქართველოს შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის

ორგანიზება.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
(ორგანიზაციული კოდი - 03 00)

ქალაქ ოზურგეთში 2017 წელს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გასაწევი ხარჯი დაიგეგმა 10333,7 ათ. ლარის ოდენობით.

ქალაქ ოზურგეთში 2017 წელს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გეგმა შეადგენს - 10333,7 ათ. ლარს, საკასო ხარჯმა შეადგინა - 8390,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 81%-ია, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საკუთარი ბიუჯეტით 2017 წელს დაგეგმილი იყო 954 290 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება, მ.შ. 516 919 ლარით განხორციელდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით შესასრულებელი პროექტების თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დაგეგმილი იყო - 1 225 901 ლარის ღირებულების სამუშაოების განხორციელება.

მიღწეული შედეგი: საანგარიშო პერიოდში - ასფალტის საფარი მოეწყო რუსთაველის ქუჩაზე - 5252მ², შეკეთდა 19,85მ³ მოცულობის ბეტონის კიუვეტი; ასფალტის საფარი მოეწყო ქუთაისის ქუჩაზე - 5595მ², მოეწყო 1071 გრმ. მეტრი სიგრძის ბეტონის კიუვეტი; ასფალტის საფარი მოეწყო ჩოხატაურის ქუჩაზე - 3823მ², შეკეთდა 41,1მ³ მოცულობის ბეტონის კიუვეტი; ასფალტის საფარი მოეწყო აკაკი ბაქრაძის ქუჩაზე - 4262მ², მოეწყო 792 გრმ. მეტრი სიგრძის ბეტონის კიუვეტი; ასფალტის საფარი მოეწყო ბათუმის ქუჩაზე - 15044მ², შეკეთდა 246მ³ მოცულობის ბეტონის კიუვეტი; ასფალტის საფარი მოეწყო ნემიროვიჩ-დანჩენკოს ქუჩაზე - 6226მ², შეკეთდა 23,3მ³ მოცულობის ბეტონის კიუვეტი. ბეტონის კიუვეტები მოეწყო სანაპიროს ქუჩაზე და სანაპიროს გზაგამტარზე საერთო სიგრძით - 179 გრმ. მეტრი. ბეტონის ბორდიურები მოეწყო ჟღენტის ქუჩაზე - 394 გრმ.მეტრი; სანაპიროს ქუჩაზე და სანაპიროს გზაგამტარზე - 4654 გრმ. მეტრი; აკაკი ბაქრაძის ქუჩაზე - 840 გრმ. მეტრი. გზების მოვლა - შენახვის მიზნით ორმული შეკეთების სამუშაოები განხორციელდა ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების მონაკვეთებზე - საერთო ფართობით 4740მ², ხრეშოვანი გზების რეაბილიტაციისათვის გამოყენებული იქნა 1800მ³ მოცულობის ინერტული მასალა.

შეფასების ინდიკატორი: მოეწყო 55815მ² საერთო ფართობის ასფალტის საფარი 6 ქუჩაზე, ორმული შეკეთების სამუშაოები - 4740მ², -ზე, გრუნტოვანი გზის მოხრეშვა-დაგრეიდერება 18150მ²-ზე, მოეწყო ბეტონის კიუვეტები 3 ქუჩაზე - საერთო სიგრძით 2042გრმ. მეტრი; ბეტონის კიუვეტები აღდგენილი იქნა 4 ქუჩაზე, საერთო მოცულობით - 330,25მ³ · სამ ქუჩაზე მოეწყო ბეტონის ბორდიურები საერთო სიგრძით- 5888 გრმ.მეტრი.

ბინათმშენებლობაში საკუთარი ბიუჯეტით 2017 წელს დაგეგმილი იყო 169 837 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება. საქართველოს მთავრობის 2017წ. 26.04 N824 განკარგულებით გამოყოფილი თანხით (1 700 000 ლარი) და საქართველოს მთავრობის 2016წ. 30.09 N1998 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთით (38 446,37 ლარი) დაგეგმილი იყო სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი და ინდივიდუალური სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

მიღწეული შედეგი: საანგარიშო პერიოდში ახალი სახურავის საფარი მოეწყო მრავალბინიან სახლზე - მეცნიერების ქ. N3-ში, უნივერსიტეტის ქ. N11-ში, უნივერსიტეტის ქ. N10-ში, ჭავჭავაძის ქ. N12-ში, ჭავჭავაძის ქ. N19-ში, ბზიავას ქ. N7-ში და N8-ში. სახურავები ნაწილობრივ შეკეთდა მეცნიერების ქ. N20-ში, მეცნიერების ქ. N14-ში, ნიკო ნიკოლაძის ქ. N50-ში, ბოლქვაძის ქ. N13-ში,

ჩოხატაურის ქ. N10-ში, კოსტავას ქუჩა N 115-ში და კოსტავას ქუჩა N 2-ში. წყალშემკრები ღარები და მიწების სისტემები მოეწყო მრავალბინიან სახლზე აღმაშენებლის ქუჩა N165, 167, 169, 171, 173,175, 177-ში. 2017 წლის 23 აპრილის სტიქიის შედეგების არდგენის მიზნით განხორციელდა ფასადების შეკეთების და აღდგენითი სამუშაოები ჭავჭავაძის ქ. N19-ში-30მ², გურამიშვილის ქუჩა N14-ში-30მ² და ფარნავაზ მეფის ქ. N129-ში - 3971მ².

2017 წლის 23 აპრილის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, სახურავების აღდგენის მიზნით განხორციელდა 143 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა საერთო ფართობით - 20219,5მ². სახურავის მასალების გადაცემა განხორციელდა 214 ინდივიდუალურ საცხოვრებელი სახლზე - საერთო ფართობით - 24 222 მ². კანალიზაციის ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდა მრავალბინიან კორპუსებში - იოანე პეტრიწის ქ. N1-ში - 28გრძ.მ., ჭავჭავაძის ქ. N15-ში - 34გრძ.მ. და გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის ჩიხში - 24გრძ.მ. წყალმომარაგების შიდა ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდა მრავალბინიან კორპუსში - ფარნავაზ მეფის ქ. N129-ში - 484გრძ.მ.

შეფასების ინდიკატორი: შესრულდა შვიდ მრავალბინიან სახლში ახალი სახურავის მოწყობა - და შვიდ მრავალბინიან სახლში არსებული სახურავის რეაბილიტაცია საერთო ფართობით - 4399,8მ². 143 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა საერთო ფართობით - 20219,5მ² და მასალების გადაცემა 214 ინდივიდუალურ საცხოვრებელი სახლზე - საერთო ფართობით -24 222 მ². შვიდ მრავალბინიან სახლში წყალშემკრები სისტემის მოწყობა - 244 გრძ.მ., კანალიზაციის შიდა ქსელები შეკეთდა 3 ობიექტზე - საერთო სიგრძით - 86გრძ.მ; წყალმომარაგების შიდა ქსელი მოეწყო 1 ობიექტზე - საერთო სიგრძით -484გრძ.მ.

კეთილმოწყობის მიზნით საკუთარი ბიუჯეტით 2017 წელს დაგეგმილი იყო 967 990 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება, მ.შ. 154 363,83 ლარით განხორციელდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით შესასრულებელი პროექტების თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დაგეგმილი იყო - 366 093,59 ლარის ღირებულების სამუშაოების განხორციელება. საქართველოს მთავრობის 2016წ. 28.07 N1533 განკარგულებით გამოყოფილი თანხით (770 000 ლარი), საქართველოს მთავრობის 2017წ. 26.04 N824 განკარგულებით გამოყოფილი თანხით (1 700 000 ლარი), საქართველოს მთავრობის 2017წ. 21.07 N1525 განკარგულებით გამოყოფილი თანხით (1 508 400 ლარი), საქართველოს მთავრობის 2016წ. 25.02 N293 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთით (409 101,11 ლარი), საქართველოს მთავრობის 2016წ. 21.03 N485 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთით (390 566,16 ლარი) - დაგეგმილი იყო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულება.

მიღწეული შედეგი: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ნიკო ნიკოლაძის ქ. N4-ში 615 მ² განაშენიანების ფართობის ორსართულიანი საბავშვო ბაღის შენობის კაპიტალური რემონტი, ტროტუარების რეაბილიტაციის სამუშაოები ჭავჭავაძის და ნაკაშიძის ქუჩებზე - საერთო ფართობით 225 მ², მოეწყო რკინაბეტონის სანიაღვრე არხი ცხაურით - სიგრძით 111 გრძ.მეტრი. განხორციელდა დოლიძის ქუჩაზე და თამარ მეფის მოედანზე გამწვანების სამუშაოები 1669 მ² საერთო ფართობზე. კოსტავას ქუჩაზე ახალგაზრდობისა და დასვენების პარკში აღდგა სტიქიის შედეგად დანგრეული საბავშვო ავტოდრომი, ანასეულის დასახლებაში მოეწყო ორი მოსაცდელი, შეძენილი იქნა და ქალაქში დამატებით განთავსდა 100 ერთეული სანაგვე ურნა. პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით მოეწყო მდ. ბჟუჟზე ჯორჯიაშვილის ქუჩის მიმდებარედ, ორ მონაკვეთზე 430გრძ.მ საერთო სიგრძის ნაპირდამცავი გაბიონი და მდ. ნატანებზე კიტა მეგრელიძის ქუჩის მიმდებარედ 352 გრძ.მ. სიგრძის ნაპირდამცავი გაბიონი. მდ. ბაზრისწყალზე ნაპირდამცავი რკინაბეტონის ჯებირი - 298 გრძ.მ., მდ. ბჟუჟზე სანაპიროს ქუჩის გასწვრივ მოეწყო

620 გრძ.მ სიგრძის რკინაბეტონის კედელი, 150 გრძ.მ-ზე მოეწყო არსებული ჯებირის დამცავი რკინაბეტონის პერანგი და 130 გრძ. მ ნაპირდამცავი გაბიონი.

შეფასების ინდიკატორი: კეთილმოეწყო ერთი საბავშვო ბაღი, მოეწყო ტროტუარები ორ ქუჩაზე საერთო ფართობით - 225 მ² და 111 გრძ. მეტრი სანიაღვრე არხი ცხაურით. აღდგენილი იქნა საბავშვო ავტოდრომი, მოეწყო ორი მოსაცდელი, დაიდგა 100 ერთეული ურნა, გამწვანების სამუშაოები ჩატარდა 1669მ²-ზე, მდინარეების ნაპირდამცავი სამუშაოები განხორციელდა 5 ობიექტზე საერთო სიგრძით - 1980 გრძ.მ.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - გეგმა - 2498,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 2124,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 85%-ია;

ბინათმშენებლობა - გეგმა - 1863,3 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 1698,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 91%-ია;

კეთილმოწყობის სამუშაოები - გეგმა - 4571,1 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 3221,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 70%-ია;

03 02 01 - დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება

განმახორციელებელი: ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის სერვისცენტრი“

2017 წლის გეგმა - 719,5 ათ. ლარი, საკასო ხარჯი განისაზღვრა - 719,5 ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 100%-ია.

მიღწეული საბოლოო შედეგი: ქალაქში მიღწეულია სანიტარული წესრიგი, ყოველდღიურად ხორციელდება ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.

შეფასების ინდიკატორი: სანიტარულად მოწესრიგებული ქალაქი, მოვლილი ღია ნაგავსაყრელის პოლიგონი.

03 02 03 - კომუნალური მომსახურების ცენტრის დაფინანსება

განმახორციელებელი: ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის სერვისცენტრი“

2017 წლის გეგმა - 456,0 ათ. ლარი, საკასო ხარჯი განისაზღვრა - 414,9 ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 91%-ია.

მიღწეული საბოლოო შედეგი: განათებული ქუჩები; განათებულ ქუჩებში მოსახლეობისა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება; ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი: ქალაქის ქუჩებში და სკვერებში შექმნილი კეთილმოწყობილი და უსაფრთხო გარემო.

განათლება
(ორგანიზაციული კოდი - 04 00)

04 01 - სკოლამდელი განათლების დაფინანსება

